პროექტი „მუსიკალური გამოფენა“

სალომე ბუჩუკური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კულტურის მენეჯერის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა კახიძე, დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეიქმნას გამოფენის ახალი ტიპი, რომელიც თავის თავში მოიცავს მუსიკალურ ქმედებას. გარდა იმისა, რომ ხელოვნების ამ ორი დარგის ინდივიდუალური გამომსახველობითი ხერხების გაერთიანება სხვადასხვა იდეისა თუ თემატიკის მეშვეობით, რომელიც წარმოგვიდგება ორიგინალური სახელოვნებო „პროდუქტის“ სახით და ინტერესს გამოიწვევს თანამედროვე აუდიტორიაში, ამგვარი ღონისძიების გამართვა ხელოვნების ამ ორივე დარგის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს.

პროექტის „მუსიკალური გამოფენა“ იდეის აქტუალობისა და მისი განხორციელების საჭიროების დასადგენად ჩატარდა მომხმარებლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა. გამოკითხულთა უმრავლესობამ ასეთი ტიპის ღონისძიების ჩატარება მნიშვნელოვნად და დროულად მიიჩნია, რადგან პროექტის მიზანია ერთის მხრივ ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთთანამშრომლობა, ხოლო მეორეს მხრივ კი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და გააქტიურება.

ძირითადი საძიებო სიტყვები:მუსიკა, მხატვრობა, ხელოვნების დარგების სინთეზი, პროექტის მენეჯმენტი